საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინგუშეთის ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები

ინგუშეთის ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები, XVIII ს. მიწურულიდან მკვლევართაგან ინგუშეთში გამოვლენილი და შესწავლილი ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები: ნაეკლესიარნატაძრალები (ტყობია-ჯერდას ტაძარი, ალბი-ჯერდის, თარგემის, მაღი-ჯერდის ეკლესიები და სხვ.); მონუმენტური და მცირე პლასტიკის ძეგლები (ჯვრები, ქვის ჯვრის კვარცხლბეკი, ქვის ემბაზი, ჯვრების გამოსახულებანი სამლოცველოებზე, ტაძრის სახურავის კრამიტებზე, კოშკებზე, აკლდამებზე); ეკლესიის ექსტერიერის შემამკობელი რელიეფები (სიუჟეტურ-კომპოზიციურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ორნამენტული მოტივებითა და შესრულების ტექნიკით ისინი ანალოგიებს პოულობს შუა საუკუნეთა საქართვ. არქიტექტურულ, კედლის მხატვრობის, ჭედურ, ქვისა და ხეზე კვეთილობის ძეგლებში, რაც მათთან გენეტ. კავშირით აიხსნება და, ამავე დროს, გააჩნიათ ლოკალური ნიშნებიც); საეკლ. კედლის მხატვრობის ნიმუშები; ადგილობრივ მცხოვრებთა ქრისტ. სამარხები; სამლოცველო, სამშ., ლიტურგიკული შინაარსისა და ად-გილ. სახელწოდებების აღმნიშვნელი ძველქართული წერილობითი ძეგლები (უმთავრესად X–XI სს. და XII–XIV სს.). ისინი საისტორიო, ენობრივ (ქრისტ. ლექსიკის, ონომასტიკის, ტოპონიმიკის), ფოლკლორულ და ეთნოგრ. მასალებთან ერთად, ნათელყოფენ შუა საუკუნეების ინგუშეთში ქრისტიანობის გავრცელების მაღალ დონეს, ქრონოლ. დიაპაზონს, ქართ. ღვთისმსახურების, მოსახლეობაში ქართ. ენისა და დამწერლობის არსებობას.

ინგუშეთში არსებული ქრისტ. კულტ. ძეგლები ნათლად მიუთითებს შუა საუკუნეების სა-ქართველო-ინგუშეთის (ისტ. „დურძუკეთი") მჭიდრო ისტ. ურთიერთობებზე, რაც ჩამოყალიბდა ადრე შუა საუკუნეთა მიწურულიდან კავკასიის ხალხთა *პოლიტ.*, სოც.-ეკონ. და კულტ. სფეროებში მიმდინარე იმანენტური პროცესებით (ფეოდ.-ფორმაციული ძვრები,

ძლიერი მეზობელი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, ტრანსკავკასიური გზების ფლობა, მთისა და ბარის ეკონ. კავშირები, ძირძველი ეთნო-კულტ. ურთიერთობანი, ეთნო-ფსიქ. წყობა და სხვ.) და საქართველოს სახელმწიფოს მიერ წარმართული კავკ. პოლიტიკით, რის შედეგადაც წარმოქმნილი საერთო კავკ. სახელმწიფოებრიობის რელიგ.-კულტ. საფუძვლად ქრისტ. რელიგია და კულტურა გვევლინება.

ლიტ.: ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე გ., „არსენი მ"-ის სამშენებლო-კერამიკული წარწერა ტყობდა-ჯერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან, კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1998; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფსალმუნი მაღი-ჯერდას ეკლესიიდან (ინგუშეთი), საერთაშორისო კონგრესი "ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები". მასალები, I, თბ., 2015; მ ი ს ი ვ ე, Изображение епископа Георгия (X в.) из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Международная научная конференция «Кавказ и этнология», Б., 2009; მ ი ს ი ვ ე, Надпись «Патриарха Востока Мелкизедека» из грузино-ингушского христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, 2014, N7; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Ткобя-Ерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), კრ.: Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. 2, Тб., 2002.

გ. ღამბაშიძე